ოქმი:**ო135. 135231532**
თარიღი:**02/06/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-5

დ. მესტია 31.05. 2023წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, გ. დადვანი, გ. ხვისტანი, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე,ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, თ. დადეშქელიანი, ი. გირგვლიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი. შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ა. რატიანი. დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, მ. პაკელიანი, მ. კვანჭიანი, მ.გელოვანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის განყოფილების უფროსი ს. კვიციანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი თ. გოშთელიანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების უფროსი ხ. კახბერიძე.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 25 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ''მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: ნ. მაღედანი. თანამომხსენებელი ზ. ფალიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: ხ.კახბერიძე; თანამომხსენებელი შ.ცინდელიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: ხ.კახბერიძე; თანამომხსენებელი შ.ცინდელიანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: ხ.კახბერიძე; თანამომხსენებელი შ.ცინდელიანი./

5. ,,ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ".

/მომხსენებელი: ს.კვიციანი; თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

6. ,,დაბა მესტიაში, კახშიანში, კოტეჯების მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: თ.გოშთელიანი; თანამომხსენებელი ზ.ფალიანი./

7. ,,მესტიის მუნიციპალიტეტეის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების მიმოხილვა".

/მომხსენებელი: ს.კვიციანი; თანამომხსენებელი რ.გვარმიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.
მომხრე----------25
წინააღმდეგი------0
თავი შეიკავა-------0
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის **31 მაისის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135231524 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ''მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპატრამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა ხარვეზები. შენიშვნების გათვალისწინებით წარმოადგინა დადგენილების პროექტი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა--კომისიამ განიხილა და მერიის სამსახურთან ერთად განიხილა შენიშვნები და გამოსწორდა ხარვეზი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ''მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება № 10 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ხ. კახბერიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამსახურის დებულების ცვლილებები. სამსახურს დაემატა ფუნქციები და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს განყოფილებების დამატება. დაემატა:

1. ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - არქიტექტურისა და მშენებლობის ნებართვების სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

2. ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - პროექტების მართვის განყოფილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა---აღნიშნა, რომ საკითხი შემოტანილი იქნა გასული სხდომისთვის, ვინაიდან სრულყოფილი არ იყო, არ ახლდა ახსა-განმარტებითი წერილი მოხსნილი იყო ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №- 11 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ხერგიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი ------

თავი შეიკავა ------

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №- 12 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ხ. კახბერიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება №-13 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. კვიციანმა ,,ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მოიცავს სარეზერვო ფონდებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს წლის განმავლობაში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვა. საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის1 და 2 პუნქტის თანახმად თვითმართველ მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ სარეზერვო ფონდში განათავსონ ბიუჯეტის მაქსიმუმ 2 %. სარეზერვო ფონდის ათვისება ხდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების - კერძოდ საავტომობილო შიდა გზების მოვლა- შენახვა, გაწმენდა განტვირთვის უზრუნველსაყოფად. ისაუბრა თუ რომელ ტერიტორიულ ერთეულში რა სამუშაოები ჩატარდა. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა და შესაბამის ორგანიზაციულ კოდზე ასახვა ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ განიხილა და შეისწავლა საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------21

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,ინფორმაცია მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ".

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება№- :გ-135. 135231523 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე

მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,დაბა მესტიაში, კახშიანში, კოტეჯების მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა პოვერ პოინტის ფორმით წარმოადგინა პროექტი, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემუშავებისათვის წინა საპროექტო კვლევა. პროექტის მიღება და დამტკიცება მიმდინარეობს ორ ეტაპად: თანხმობა წინა საპროექტო გეგმის და თანხმობის მერე განაშენიანების გეგმის მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,დაბა მესტიაში, კახშიანში, კოტეჯების მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება№- გ-135. 135231522 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. კიკვიძემ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების მიმოხილვა“.

მომხსენებელმა საკითხის წარდგენა დაიწყო შემოსავლებიდან. ისაუბრა დასრულებულ და მიმდინარე პროექტებზე. ხარჯებზე და გეგმა-შესრულებაზე. (ანგარიში თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა-- კომისიამ განიხილა, ამომწურავად და სრულყოფილად მიიჩნია ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების მიმოხილვა“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება№-გ-135. 1352315223 **თან ერთვის)**

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი